



საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 დეკემბრის N04/309 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი.....	3
1.1 განმცხადებლის პოზიცია	3
1.2 მოვაჭრის პოზიცია.....	4
თავი 2. ნორმატიული რეგულირება.....	5
თავი 3. სამოტივაციო ნაწილი.....	10
თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი.....	15

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2022 წლის 5 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე N01/2225 განცხადება ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

მოქალაქე N01/2225 განცხადების საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 დეკემბრის N04/309 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

1.1 განმცხადებლის პოზიცია

მოქალაქე განცხადების მიხედვით, მან 2022 წლის 1 ოქტომბერს შეიძინა ფეხსაცმელი ინტერნეტ გვერდიდან “მინიმალისტი“. განმცხადებლის განმარტებით, ფეხსაცმელი რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ დაზიანდა, („დაუზიანდა ცხვირი, გატყდა ორ ადგილზე, დაკარგა სტილი“). მომხმარებელმა ნივთის აღნიშნული ნაკლის შესახებ 2022 წლის 1 ნოემბერს აცნობა მოვაჭრეს. მოვაჭრემ კომუნიკაციის პირველ ეტაპზე მომხმარებელს ნივთის ღირებულების 20%-ის ანაზღაურება ან ახალი ფეხსაცმლის შეკერვა შესთავაზა.

მომხმარებელი განმარტავს, მისი ინტერესიდან გამომდინარე მან ახალი ფეხსაცმლის შეკერვის შესახებ შეთავაზება აირჩია, ამ მიზნით 2022 წლის 30 ნოემბერს ფეხსაცმელი დაუბრუნა მოვაჭრეს.

ნივთის დაბრუნების შემდეგ მოვაჭრე დაუკავშირდა მომხმარებელს და აცნობა, რომ ახალ ფეხსაცმელს ვერ შეკერავდნენ, რადგან მოვაჭრის განცხადებით ფეხსაცმლის კონკრეტული ნაკლი მომხმარებლის მიერ მექანიკური დაზიანების შედეგად იყო გამოწვეული.

განმცხადებლის პოზიციით, ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) ქმედებები არღვევს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

1.2 მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს 2022 წლის 7 დეკემბრის №02/1234 წერილით, მოვაჭრეს ეცნობა განმცხადებლის მოთხოვნის თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოსადგენად. ასევე, ამავე ვადაში დაევალა სააგენტოსთვის წარმოედგინა სავაჭრო პოლიტიკა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის შესახებ, შემუშავებული სტანდარტული პირობებისა და ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

სააგენტოს 2022 წლის 7 დეკემბრის №02/1234 წერილის პასუხად, მოვაჭრემ სააგენტოს 2022 წლის 21 დეკემბრის №01/2384 წერილით წარუდგინა პოზიცია განცხადებასთან დაკავშირებით. მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „მინიმალისტი“ როგორც ბრენდი, ბიზნეს ბაზარზე ოპერირებს 2019 წლიდან. საწარმო პროდუქციას აწარმოებს ნატურალური ტყავისგან და კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად.

მომხმარებლებს მოვაჭრე აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის facebook-ისა და whatsapp-ის მეშვეობით გასაყიდი საქონლის „ხარისხისა და მატერიის, ასევე მიღება-ჩაბარების წესებთან დაკავშირებით“. შეკვეთის შესრულების მაქსიმალური ვადაა 7 სამუშაო დღე, შეკვეთის შესრულების შემდეგ ნივთი გადის შემოწმებას და საკურიერო კომპანიის მეშვეობით ეგზავნება მომხმარებელს. დაბრუნების წესთან დაკავშირებით მოვაჭრე განმარტავს, რომ მომხმარებლის უკმაყოფილების დაფიქსირებისას, გამოუყენებელ ნივთს იბრუნებს, ხოლო გამოყენებული ნივთი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო ამომწურავი და დეტალურად არ იყო განხილული სავაჭრო პოლიტიკა, არამედ მოკლე აღწერით შემოიფარგლებოდა.

2022 წლის 26 დეკემბრის N02/1336 წერილით, მოვაჭრეს ეცნობა განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციისა და სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის სრული სახით წარმოსადგენად.

2023 წლის 9 იანვარს N01/41 წერილით მოვაჭრემ სააგენტოს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის განცხადებასთან დაკავშირებით.

მოვაჭრის განმარტებით, მომხმარებელმა ნივთის ჩაბარებისას (2022 წლის 22 სექტემბერი) კმაყოფილება დააფიქსირა ფეხსაცმელთან დაკავშირებით, ხოლო 2022 წლის 1 ნოემბერს მოვაჭრეს მიმართა პრეტენზიით ფეხსაცმლის ნაკლის თაობაზე. მოვაჭრე აცხადებს, რომ ფეხსაცმლის შემოწმებისას ის ფაქტები, რაზეც მომხმარებელი მიუთითებდა არ დადასტურდა, კერძოდ „ორივე ფეხსაცმელი ერთნაირი სიმყარის აღმოჩნდა“.

მოვაჭრის პოზიციით, ის იხსნის პასუხისმგებლობას 2-3 დღეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, ხმარების შედეგად დაზიანებული ნივთის დაბრუნებაზე. ამავე წერილით მოვაჭრე კიდევ ერთხელ განმარტავს ბრენდის სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც 2022 წლის 21 დეკემბრის №01/2384 წერილით მოწოდებული ინფორმაციის იდენტურია.

მოვაჭრეს სააგენტოში არ წარმოუდგენია არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, რის საფუძველზე ჩათვალა მომხმარებლის პრეტენზია უსაფუძვლოდ, შეძენილი ფეხსაცმლის ნაკლთან დაკავშირებით.

2023 წლის 23 იანვრის N02/180 წერილით სააგენტომ მოვაჭრისგან გამოითხოვა ინფორმაცია/მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნო მოვაჭრე კონკრეტული ნივთის ნაკლის შეფასებისას, ნაკლის დადასტურების ან ნაკლის არარსებობის დადგენის მიზნით და განუსაზღვრა 5 სამუშაო დღე ინფორმაციის წარმოსადგენად.

2023 წლის 7 თებერვლის N01/439 წერილით მოვაჭრემ სააგენტოს განუმარტა რომ მომხმარებლისთვის მიწოდებული ფეხსაცმელი უდეფექტო იყო, ხოლო ნაკლი მექანიკური დაზიანების შედეგად გამოწვეული, შესაბამისად, მოვაჭრის პოზიციით მსგავს შემთხვევაზე პასუხისმგებლობა მას არ ეკისრება.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“-ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კონკრეტულად, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კერძოდ, კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის მიხედვით ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს **საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად** მიაწოდოს შემდეგი **უტყუარი და სრული ინფორმაცია**. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმირებას:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდეს;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადის და წესის შესახებ.

კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია მომხმარებლის უფლება ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისების გათვალისწინებით მომხმარებელი ვერ იყენებს უარის თქმის უფლებას.

კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

კანონის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა

(საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საგარანტიო პირობები, მათ შორის, კომერციული გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხანგრძლივობა და მოქმედების ტერიტორია და მისი გასაჩივრებისთვის საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მოვაჭრის სახელი, მისამართი.

კანონის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის¹ მიზანია მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივა მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს 93/13/EEC დირექტივასა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივაში შესწორებების შეტანის და საბჭოს 85/577/EEC დირექტივისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7/EC დირექტივის გაუქმების შესახებ

კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

2011/83 დირექტივის მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებლის უფლებების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

2011/83 დირექტივის მე-3 თავის მე-5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე-5 მუხლი ძირითადად გვთავაზობს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე-6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს. მართალია მე-6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის² მიზანია შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირებისას მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა, საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებით მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის საერთო წესების დადგენით,

2019/771 დირექტივის მე-13 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს უსასყიდლოდ აღუდგეს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან შეკეთების ან ჩანაცვლების გზით, საქონელთან მიმართებით შეუმცირდეს ფასი ან გაუუქმდეს ხელშეკრულება.

2019/771 დირექტივის მე-11 მუხლის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს საქონლის მომხმარებლისთვის მფლობელობაში გადაცემიდან 1 წლის მანძილზე.

² ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32019L0771>

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრის აკისრებს მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ ის ხელშეკრულების ნაკლებად დაცული მხარეა, მის კონტრაქტს, მოვაჭრეს ავალდებულებს მაქსიმალურად მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება. მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლასთან დაკავშირებით მიიღოს რაციონალურად, გააზრებულად და რაც ყველაზე მთავარია, საკმარისი და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე.

ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“ და დაიცვას მისი ეკონომიკური ქცევა. ქართული კანონმდებლობის მსგავსად ანალოგიურადაა განმარტებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივაში.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო საქმეზე #C-649/17 აღნიშნავს, რომ ევროკავშირის 2011/83 დირექტივის მიზანია სამომხმარებლო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა, მათ შორის, დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების დროს.³

მოვაჭრე კომერციული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმით. დირექტივა მოვაჭრეებს ავალდებულებს უზრუნველყონ კომუნიკაციის ეფექტური საშუალებები,⁴ რაც მომხმარებლებს გაუადვილებს მოვაჭრესთან დაკავშირებას.

საქმეზე C-430/17 სასამართლო განმარტავს დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობას სამომხმარებლო ურთიერთობის ეფექტური განხორციელებისთვის. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, მომხმარებლისთვის ნივთის ან მისაღები მომსახურების შესახებ მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია განსაზღვრავს მომხმარებლის ნებას, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებით.⁵

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებლების განცხადებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შეჯერების, ასევე მოვაჭრის მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის კომერციული საქმიანობა არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების სტანდარტს, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად და მის მიერ საქმიანობისთვის გამოყენებულ სოციალურ ქსელში არსებულ კომერციულ გვერდზე არანაირი ინფორმაცია არ არის ასახული.

ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისათვის უმნიშვნელოვანესი დაცვის მექანიზმია. მომხმარებლის სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ნაკლები ინფორმირებულობაა, ეს მას სათანადო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას

³ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #C-649/17

⁴ იქვე, აბზაცი 53

⁵ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #C-430/17

ართმევს, თუმცა ვალდებულების ამ სახის არსებობა, თავისუფალი ნების ფორმირებისა და გამოვლენის დაცვის გარანტიაა.⁶

ინფორმაციის მიწოდების სტანდარტის გარდა, მოვაჭრის მიერ ასევე არ არის დაცული კანონის მოთხოვნები ნაკლის აღმოფხვრის ან/და ნივთის შეცვლის თვალსაზრისით. კერძოდ, კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. საქმის გარემოებების შეფასების შედეგად კი დგინდება, რომ მომხმარებელთა პრეტენზიებს კონკრეტული ნივთის ნაკლთან დაკავშირებით მოვაჭრე არ პასუხობს და არ რეაგირებს მათი უფლებების აღდგენის მიზნით. ამასთან, მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ნივთის დაბრუნების პირობებთან მიმართებაში მწირია და არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს. სავაჭრო ვებ-გვერდზე ნივთის დაბრუნების უფლების თაობაზე, ასევე ამ უფლებით სარგებლობის შემთხვევებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.

საქმეზე C-52/18 სასამართლო განმარტავს, რომ 1999/44⁷ დირექტივის მე-3 მუხლი მიზნად ისახავს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას მომხმარებლისა და მოვაჭრის ინტერესებს შორის. საქონლის შესაბამისობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია საქონლის ბუნების, მახასიათებლების მხედველობაში მიღება, ასევე იმ მიზნის განსაზღვრა, რა მიზნითაც მომხმარებელი იძენს კონკრეტულ საქონელს. ამავე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულია უფლების აღდგენის საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო აღმოჩნდება.

სასამართლო განმარტავს, რომ მომხმარებელს პირველ რიგში შეუძლია საქონლის ბუნებისა და გამოყენების მიზნის შეუსაბამობის აღმოფხვრა მოითხოვოს ნივთის შეკეთებით ან შეცვლით, ხოლო თუ ნივთის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია, ან

⁶ თ.ლაკერბაია, ვ.ზაალიშვილი, თ.ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალტრან ჰარმონიზაციის გზა), შსსუ, თბილისი 2018, გვ.122

⁷ შენიშვნა: აღნიშნული დირექტივა ჩანაცვლდა 2019/771 ევროკავშირისა და საბჭოს დირექტივით.

არათანაზომიერ/შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, ნივთი მომხმარებლისთვის გადაცემისას იყო ნაკლიანი თუ ნაკლი გამოწვეულია მომხმარებლის ბრალეულობით, ასევე გარანტიის რა პირობებს სთავაზობდა მოვაჭრე მომხმარებელს მსგავსი შემთხვევის დადგომისას.

საქართველოს უზენაესის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთ პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-708-674-2015⁸ საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს. მსგავს რეგულირებას გთავაზობს კანონის მე-20 მუხლიც, რომლის მიხედვითაც, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად სწორედ მოვაჭრე - ი/მ ნანა ვეფხვაძე იყო ვალდებული ემტკიცებინა, რომ ფეხსაცმლის დაზიანება არ შეიძლება ჩათვლილიყო ნივთის ნაკლად, გამოწვეული იყო მომხმარებლის ბრალით, მსგავსი დაზიანება არ შეესაბამებოდა საგარანტიო პირობებს და მოვაჭრეს არ გააჩნდა დაზიანების აღმოფხვრის შესაბამისი ვალდებულება.

სააგენტოში საქმის შესწავლის განმავლობაში მოვაჭრეს არ წარმოუდგენია არანაირი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ მომხმარებლისთვის გადაცემული ნივთი შესაბამისი იყო მხარეთ შორის არსებული ხელშეკრულების პირობებთან. მოვაჭრე მხოლოდ სააგენტოში წარმოდგენილ 2022 წლის 21 დეკემბრის №01/2384 და 2023 წლის 9 იანვარს N01/41 წერილებში განმარტავს, რომ მან მომხმარებელს უნაკლო ნივთი გადასცა, თუმცა ამ არგუმენტის გამამყარებელი მტკიცებულება მას სააგენტოში არ წარმოუდგენია. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მომხმარებლის პირველი კომუნიკაციისას, მოვაჭრემ საქონლის შესაფასებლად მიწოდება მოითხოვა, ხოლო მას შემდეგ, რაც კონკრეტული

⁸ ასევე იხილეთ გადაწყვეტილება №ას-1020-963-2015, 25 ნოემბერი, 2015 წელი.

ფეხსაცმელი განმცხადებელმა მოვაჭრეს წარუდგინა, მოვაჭრემ დაადგინა, რომ ფეხსაცმლის ნაკლი მომხმარებლის მიერ არასწორი გამოყენებით იქნა გამოწვეული. საქმეში არ არსებობს მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, თუ რის საფუძველზე გააკეთა მოვაჭრემ მსგავსი შეფასება.

იმ შემთხვევაში, როცა მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკით განსაზღვრული არ არის საგარანტიო პირობები და ვადა, საგარანტიო ვადად უნდა ჩაითვალოს კანონით განსაზღვრული 2 წლიანი პერიოდი. კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონის მე-17-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მომხმარებელს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ მოვაჭრემ ვერ გააქარწყლა ფეხსაცმლის ნაკლის თაობაზე მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია, შესაბამისად, კანონის დებულებიდან გამომდინარე, მომხმარებელს მიენიჭა საქონლის შეცვლის/შეკეთების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

როგორც აღინიშნა, პროცედურის თანახმად, სააგენტო იწყებს მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლას, თუ მას აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მოვაჭრის ქმედებ(ებ)ის შედეგად ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს მომხმარებელთა ჯგუფის უფლება და მათ ინტერესს ადგება ან შესაძლოა მიადგეს ზიანი.

პროცედურის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. ამ შემთხვევაში სააგენტო ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ.

განსახილველ საქმეში მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრეზე მოვაჭრის უარყოფითი გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ნაწილში არ შეესაბამება მოვაჭრის საქმიანობა კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, სააგენტოს შეფასებით, კანონის დარღვევა გამოიხატება როგორც ინფორმაციის მიუწოდებლობაში, ასევე, სააგენტოში N01/2225 განცხადების წარმოდგენამდე, ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/შეკეთება/დაბრუნებაზე გამოხატულ უარში.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ

პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრისგან. ამასთან, მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას ადგილი აქვს მოვაჭრის ისეთი ქმედებებით, როდესაც მომხმარებლები ნაკლის მქონე ნივთთან დაკავშირებით მოვაჭრისგან ვერ იღებენ კანონით გათვალისწინებულ შედეგს ვერც ფაქტობრივად და არც არსებობს კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს ი/მ ნანა ვეფხვაძის მიერ კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების დარღვევას.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) მხრიდან „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების დარღვევის ფაქტი.